

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



დუტა ბერიძე

საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის პრობლემური  
საკითხები შპს „ზედაზენი 2012“-ისა და სს „ლომისის“ მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი  
იზოლდა ჭილაძე

თბილისი  
2020

ანოტაცია

**თემის აქტუალობა** საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი მიმართულებებია მათი მყარი გადახდისუნარიანობა და საქმიანი აქტივობა.

საწარმოთა ფინანსური ანალიზი იძლევა საშუალებას, დინამიკაში შეფასდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, საქმიანი აქტივობა, გადახდისუნარიანობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ინვესტორებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას გაუადვილებს.

**კვლევის საგანია** საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები.

**კვლევის მიზანია** საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებების შემუშავება.

**კვლევის ობიექტია** შპს „ზედაზენი 2012“ და სს „ლომისი“.

**შრომის დასკვნაში** გადმოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგები და შემუშავებულია საანალიზო საწარმოების გადახდისუნარიანობის და საქმიანი აქტივობის შემდგომი განმტკიცების რეკომენდაციები.

## Annotation

Urgency of the community important areas of financial stability of enterprises are their solid solvency and business activity.

Financial analysis of enterprises allows to assess the dynamics of the financial condition of the enterprise, business activity, solvency and other important issues that will make it easier for investors to make economic decisions.

The subject of research is the business activity and solvency indicators of analytical enterprises.

The aim of the research is to develop measures to further strengthen the business activity and solvency of analytical enterprises.

The object of research is Ltd "Zedazeni 2012" and JSC "Lomisi".

The conclusion of the study presents the results of the conducted research and develops recommendations for further strengthening the solvency and business activity of analytical enterprises.

**Problematic issues of business activity and solvency on the example of Ltd "Zedazeni 2012" and JSC "Lomisi"**

**Duta Beridze**

## შინაარსი

ანოტაცია .....	0
Annotation .....	2
შესავალი .....	4
<b>თავი 1.საწარმოთა საქმიანი აქტივობისა და გადახდისუნარიანობის არსი და მაჩვენებლები</b>	
1.1. საწარმოთა რესურსების არსი და კლასიფიკაცია .....	6
1.2. საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზის მიზანი და მაჩვენებელთა სისტემა.....	13
1.3 საწარმოთა ლიკვიდურობის მაჩვენებელთა სისტემა.....	24
<b>თავი 2. საანალიზო საწარმოების აქტივობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზის შედეგები</b>	
2.1. საწარმოთა გადახდისუნარიანობის ანალიზის შედეგები.....	27
2.2. საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის ანალიზის შედეგები.....	35
2.3 საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის შედარებითი დახასიათება .....	40
დასკვნა .....	46
გამოყენებული ლიტერატურა.....	50
დანართი.....	52

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** ფინანსური ანალიზი ნებისმიერი კომპანიის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, რადგან მისი მიზანია მიღწეული შედეგების ანალიზი, რეზერვების გამოვლენა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გავზარდოთ ეფექტიანობა.

ბიზნესის ნებისმიერ სფეროში კარგი შედეგების მიღწევა შესაძლებელია თუ ორგანიზაციას გააჩნია ფინანსური რესურსები, რომლებსაც ეფექტიანად იყენებს.

საწარმოთა გადახდისუნარიანობით დაინტერესებულია არა მხოლოდ მფლობელი და მენეჯმენტი, არამედ, ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი ვისაც აქვს ურთიერთობა ან სამომავლოდ გეგმავს.

კომპანია, რომ არ გაკოტრდეს, აუცილებელია ჩატარდეს ფინანსური ანალიზი და გამოვლინდეს ყველა ის საფრთხე, რომლის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს კომპანია, რათა მოიძებნოს რეზერვები გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების.

ამრიგად, საწარმოს გადახდისუნარიანობის და ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების ღონისძიებების შემუშავება მუდამ აქტუალურია.

**კვლევის საგანია** საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები.

**კვლევის მიზანია** საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებების შემუშავება.

**კვლევის ამოცანები:** ამოცანები რომლებიც კვლევის პროცესში დაისვა:

საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციების აკუმულირება.

სხვადასხვა ლიტერატურისა და სტატისტიკიდან მოძიებული ინფორმაციის ანალიზი, მისი დეტალური დამუშავება და შემდგომ ნაშრომში წარდგენა.

შერჩეულ იქნა საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის ანალიზისათვის შესაბამისი მეთოდები და ინდიკატორები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს შპს „ზედაზენი 2012“ და სს „ლომისი“.

კვლევის მეთოდები: ნაშრომის მიზნებისთვის გამოყენებულია ფინანსური კოეფიციენტები.

საინფორმაციო რესურსები: აღნიშნული ნაშრომის შესრულებისათვის გამოყენებულ იქნა საანალიზო საწარმოების ფინანსური ანგარიშგება, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ინტერნეტი.


შრომის დასკვნაში მოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგები და შემუშავებულია საანალიზო საწარმოებში საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის შემდგომი გაუმჯობესების რეკომენდაციები.

# თავი 1. საწარმოს საქმიანი აქტივობისა და გადახდისუნარიანობის არსი და მაჩვენებლები

## 1.1. საწარმოთა რესურსების არსი და კლასიფიკაცია

აქტივები წარმოადგენს ფირმის საკუთრებაში არსებულ მოკლევადიან და გრძელვადიან, მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებს, რომლებიც წარსულში მომხდარი სამეურნეო პროცესების შედეგია და რომელთაგანაც მოსალოდნელია სარგებლის მიღება. აქტივები სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება, მაგალითად: პროდუქციის წარმოებისთვის, მომსახურების გასაწევად, სამუშაოს შესასრულებლად.

აქტივების კლასიფიკაციის საილუსტრაციოდ განვიხილოთ სქემა:



აქტივები მისი ხანგძლივობიდან გამომდინარე შეიძლება იყოს მოკლევადიანი (მიმდინარე ანუ საბრუნავი საშუალებები) და გრძელვადიანი (არასაბრუნავი საშუალებები).

მოკლევადიანია აქტივი-თუ მისი გამოყენების ვადა 12 თვეზე ნაკლები პერიოდია. კლასიფიცირდება ფულად და არაფულად აქტივებად და ასეთ აქტივებს მიეკუთვნება:

- ✓ **ფულადი საშუალებები** - მის შემადგენლობაში შედის ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ნაღდი ფული, რომელიც ორგანიზაციას აქვს საბანკო ანგარიშებზე, ნაღდი ფული სალაროში. საბანკო ანგარიში ორგანიზაციებს გახსნილი აქვთ ქვეყანაში რეგისტრირებულ ანუ რეზიდენტ და ქვეყანაში არარეგისტრირებულ, არარეზიდენტ ბანკებში.

✓ ფულის ექვივალენტები- ბასს 7 „ფულადი ნაკადების ანგარიშების“ მიხედვით ექვივალენტები არის მაღალლიკვიდური, მოკლევადიანი ინვესტიციები, რომელთა გადაცვლა შესაძლებელია დაუბრკოლებლად წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და ამავდრულად მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა“<sup>1</sup>.

✓ მოკლევადიანი ინვესტიციები -არის 1 დან 3 თვემდე მოგების მიღების მიზნით ფულადი საშუალებების დროებითი დაბანდება.

✓ მოთხოვნები ანუ მისაღები ანგარიშები-არის დებიტორული დავალიანება,რომელიც წარმოდგენილია ორგანიზაციაში შემდეგი სახით: მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ, მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები, გაცემული სესხები და სხვა.

„სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება და აისახება ფინანსურ ანგარიშებაში სტანდარტი ბასს 2 „სასაქონლო მატერიალური ფასეულობების“ მიხედვით<sup>2</sup>. სტანდარტის თანახმად, ისეთი მიმდინარე აქტივებია,რომლებიც:

- „გათვალისწინებულია საოპერაციო საქმიანობის პროცესში გასაყიდად“
- „გამოიყენება წარმოების პროცესში“
- „წარმოდგენილია, როგორც ნედლეულის, ისე მალასების სახით, რომელიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად და მოხმარებისათვის.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, რომელსაც საკუთრების უფლებით ფლობს ფირმა განკუთვნილია შემოსავლების მისაღებად.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზრდის ან შემცირების ტემპი დაინგარიშება შემდეგი ფორმულით:

**მარაგების ნაშთი პერიოდის დასაწყისში+მარაგების შექმნა -მარაგების რეალიზაცია (თვითღირებულება) -დანაკარგი და დანაკლისი= მარაგების ნაშთი პერიოდის ბოლოს.**

ზოგადად სასაქონლო მატერიალური ფასეულობების უძრაობა და გამოყენება ექვემდებარება შემდეგ წესს: თუ კომპანია ამ მარაგებს შეიძენს ან თვითონ აწარმოებს ასახული იქნება ბალანსში, ხოლო როცა მოხდება მათი გაყიდვა ანუ რეალიზაცია

<sup>1</sup> ბასს 7- ფულადი ნაკადების ანგარიშება

<sup>2</sup> ბასს2 -სასაქონლო მატერიალური ფასეულობები



ბალანსიდან გადადის მოგება ზარალის ანგარიშგებაში და ხვდებათ თვითღირებულების ანგარიშში.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვა სავაჭრო კომპანიაში უფრო ადვილია ვიდრე მწარმოებელ კომპანიაში. სავაჭრო კომპანია ყიდულობს, ასაწყობებს და შემდეგ ყიდის ამგვარ აქტივებს. ხოლო მწარმოებელ კომპანიაში- ხდება მასალების შექმნა რომელსაც ემატება პირდაპირი ხელფასი, ზედნადები ხარჯები და მიიღება მზა პროდუქცია რომლის გაყიდვის შემთხვევაში გადაეწერება მოგება ზარალში, თვითღირებულების ხარჯში.

#### **მარაგების აღრიცხვის მეთოდები:**

მუდმივი მეთოდი-მარაგის ნებისმიერი მოძრაობა: მიღება, გაყიდვა, ჩამოწერა აისახება ბუღალტრულ ჩანაწერებში ოპერაციის მოხდენისთანავე, ნაშთი (რაოდენობრივი და ფულადი) ცნობილია ნებისმიერი ოპერაციის მოხდენისას. მეთოდის უპირატესობა არის ის რომ უფრო ზუსტია და შეესაბამება სტანდარტებს.

მუდმივი მეთოდის შემთხვევაში მარაგების გაყიდვის დროს ხდება მარაგების თვითღირებულებით ჩამოწერა, რასაც ვერ ვიტყვით პერიოდული მეთოდით აღრიცხულ მარაგების გაყიდვაზე.

პერიოდული მეთოდი- მარაგების მოძრაობა: მიღება, გაყიდვა, ჩამოწერა ფინანსური პერიოდის ბოლოს, აისახება შუალედურ ანგარიშზე. იმის გაგებას თუ რა ნაშთია დარჩენილი აუცილებელია ინვენტარიზაცია. ეს მეთოდი არ შეესაბამება სტანდარტებს. ამასთან, ყოველთვიური ინვენტარიზაცია შრომატევადია.

მარაგებზე საკუთრების უფლებას კომპანია მოიპოვებს მათი ფლობის რისკების გადაცემასთან ერთად. მაგალითად: ტვირთს გამზავნი გემზე დატვირთავს მარაგებს პირობით FOB და გადასცემს ტვირთის საბუთებს მყიდველის წარმომადგენელს- ტვირთი ხდება მყიდველის საკუთრება ვინაიდან მის ტრასპორტირებაზე, დაზღვევაზე და ა.შ პასუხისმგებელია მყიდველი.

#### **მარაგების თვითღირებულების განსაზღვრა :**

ა) შეძენილი სმფ ბალანსში აისახება თვითღირებულებით ან წმინდა სარეალიზაციო ფასით, რომელიც მცირეა

ბ) თვითღირებულება მოიცავს ყველა იმ ხარჯს რომელიც აუცილებელია სმფ-ს შესაძენად, ტრანსპორტირებისთვის და გასაყიდად გამზადებისთვის შესაბამის ადგილას.

სავაჭრო კომპანიისთვის თვითღირებულება შედგება: შეძენის ანუ ინვოისის ფასი, ტრანსპორტირების ხარჯი (გამყიდველის საწყობიდან მყიდველის საწყობამდე), დაზღვევა, საბაჟო, პირდაპირი გადასახადები, დასაწყობების და შეძენის სხვა ხარჯები.

მწარმოებელი კომპანიისთვის კი - პირდაპირი ხელფასი, საწარმოო ზედნადები ხარჯები.

თვითღირებულებაში არ შედის **დღგ და აქციზი, სავაჭრო ფასდათმობა.**

მარაგების გაყიდვისას ხდება თვითღირებულების ჩამოწერა ბალანსიდან სამი სხვადასხვა მეთოდით: სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდი; საშალო შეწონილი მეთოდი; ფიფო მეთოდი (პირველი შემოვიდა პირველი გავიდა).

სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდი - გამოიყენება სპეციალური დანიშნულების საქონლის ან არაურთიერთშემცვლელი საქონლის გაყიდვისას. თვითღირებულება უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად გაწეული დანახარჯების მიხედვით. ეს მეთოდი გამოიყენება ისეთ პროდუქტის არღივებისას როდესაც მათი რაოდენობა არის მცირე და ფასი განსხვავებული. დადებითი მხარე - ზუსტად განსაზღვრას გაყიდული საქონლის თვითღირებულებას.

ფიფო - პირველი გადის ის საქონელი რომელიც ყველაზე ადრე იყო შეძენილი ან წარმოებული. საანგარიშგებო წლის ბოლოს რჩება ყველაზე გვიან შეძენილი ფასეულობა, რაც ახლოს არის მის რეალურ ღირებულებასთან. ამიტომ, საწყობიდან გაცემული მასალა შეფასდება ყველაზე ადრე შეძენილი მასალის ფასით იმ პარტიის ამოწურვამდე და ა.შ. ნაშთად ადრჩენილი მარაგი კი შეფასდება ბოლო პარტიის ფასით. ამ მეთოდის გამოყენების უპირატესობა ის არის რომ საქონლის მოძრაობა თითქმის იდენტურია მის ბუღალტრულ მოძრაობასთან თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ მოგება ზარალის ანგარიშგებაში ხდება ხარჯების და შემოსავლების ერთგვარი დროითი

აცდენა.კერძოდ:შემოსავლების აღიარება ხდება მიმდინარე ფასების გამოყენებით ხოლო თვითღირებულების ხარჯის ასახვა ხდება ძველი,შესაძლოა რამდენიმე თვის წინანდელი ხარჯების მიხედვით.

საშუალო შეწონილი- საანგარიშებო პერიოდის განმავლობაში წარმოებული ან შეძენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილ თვითღირებულებას ემყარება.

მოკლევადიანი აქტივები - ფულადი აქტივები: ფულადი საშუალებები, მოკლევადიანი ინვესტიციები, მისაღები მოთხოვნები და არაფულადი აქტივები: მარაგები, წინასწარგაწეული ხარჯები.

რაც შეეხება **გრძელვადიან აქტივებს** -ისეთი აქტივებია რომელთა გამოყენების ვადა 12 თვეზე მეტია.ძირითადი საშუალებების არღივცხვა და მისი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა რეგულირდება **ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“სტანდარტის** შესაბამისად.მისი განმარტებით „არის გრძელვადიანი (12თვეზე მეტი ხნით)მატერიალური აქტივი,რომელსაც ფლობს ფირმა და გამოიყენებს მას საქონლის საწარმოებლად ან მომსახურების მისაწოდებლად,იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის“.<sup>3</sup>

ფულადი ნაკადების ანგარიშების წაკითხვის დროს ყურადღება ეთმობა ძირითადი საშუალებების შესყიდვას,ეს გახლავთ საინვესტიციო საქმიანობა რომელიც პირდაპირ მოქმედებს საოპერაციო საქმიანობაზე.თუ ორგანიზაციის ძირითადი შემოსავლების მომტანი საქმიანობიდან წარმოიშვა ზარალი, ეს შესაძლოა ძირითად საშუალებებში ჩადებული ინვესტიციით აიხსნას და სულაც არ წარმოადგენდეს რთულ მდგომარეობას ორგანიზაციისთვის და ასევე ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად.

ძირითად საშუალებებს მიეკუთნება: სატრანსპორტო საშუალებები მანქანა დანადგარები,ავეჯი და ინვენტარი,მიწა და შენობა-ნაგებობები,ოფისის აღჭურვილობა.

- შენობა ნაგებობების ჯგუფში აღირიცხება- როგორც სამეურნეო და საწარმოო დანიშნულების,ისე საცხოვრებელი შენობები და სხვა ნაგებობები.

---

<sup>3</sup> ბასს 16- ძირითადი საშუალებები

- მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები -მოიცავს სატრანსპორტო საშუალებებს,სხვა მანქანა დანადგარებს და ინვენტარს.
- სხვა ძირითადი აქტივები -მიეკუთნება კულტივირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები.

ძირითადი საშუალებები რომ აღიარდეს გრძელვადიან აქტივებად, სტანდარტის მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- თუ შეიძლება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება
- გამოყენების შედეგად,მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ძირითადი აქტივების მიღება ბალანსზე აღირიცხება ღირებულებით,ანუ ყველა იმ ხარჯის გთავლისწინებით რომელიც მის შეძენასთან არის დაკავშირებული,როგორცაა: ტრანსპორტირების, შესყიდვის, მშენებლობის,მონტაჟის და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს, აგრეთვე უკან დაუბრუნებად გადასახადებს და საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ძირითადი აქტივების თვითღირებულებაში არ გაითალიწინება - ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნადები ხარჯები, თუ ისინი პირდაპირ არ არის დაკავშირებული აქტივის შეძენასთან ან მის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.ასევე არ გაითვალისწინება აქტივის შეძენასთან, წარმოებასა და მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯები.

გრძელვადიან აქტივებში არ მოიაზრება მხოლოდ მატერიალური აქტივები,ასევე იგულისხმება არამატერიალურიც, რომელიც რეგულირდება ბასს 38 „არამატერიალური აქტივები“.სტანდარტის შესაბამისად არამატერიალური აქტივი არის „არაფულადი, ფიზიკური ფორმის არმქონე აქტივი .შემადგენლობაში შედის: ლიცენზია; კონცენსია; პატენტები;საავტორო და სხვა უფლებები;გუდვილი;კომპიუტერული პროგრამები, სავაჭრო და სასაქონლო ნიშნები;საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოები და სხვა“.<sup>4</sup>

<sup>4</sup> ბასს 38 არამატერიალური აქტივები

გრძელვადიან აქტივებში მოიაზრება ასევე გრძელვადიანი ინვესტიციები და გრძელვადიანი მოთხოვნები.

გრძელვადიანი ინვესტიცია- ეს არის მოგების მიღების მიზნით ფულადი სახრსების დაბანდება.ინვესტიციაზე გაწეული ხარჯები მომავლში მოიტანენ გარკვეულ სარგებელს,რომლის მიღება მინიმუმ ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდება.მაგალითად:მოწყობილობის შეძენა.

გრძელვადიანი მოთხოვნა-ბასს-ის მიხედვით,მოთხოვნა, როგორც აქტივი, ჩაითვლება გრძელვადიან მოთხოვნად თუ მოსალოდნელია მისი დაფარვა ბალანსის შედგენის თარიღიდან თორმეტ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. მაგალითად: მიღებული გრძელვადიანი თამასუქები, მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე.

ფინანსური სტაბილურობის განხილვის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საწარმოს რესურსებში ავანსირებული ღირებულების შეუფერხებლად მოძრაობა.

## 1.2. საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზის მიზანი და მაჩვენებელთა სისტემა

საწარმოთა საქმიანი აქტივობის ანალიზი ემყარება ფინანსური კოეფიციენტების დონის გამოკვლევასა და დინამიკის განსაზღვრას. ბრუნვადობის მაჩვენებლები ბიზნესის საქმიანობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მათ სიჩქარეზე დამოკიდებული წლიური შემოსავლების მოცულობა.

საწარმოს საქმიანი აქტივობა გულისხმობს რესურსებში ავანსირებული ღირებულების ფულად ფორმაში გადაქცევის სიჩქარეს.

ანალიზის ინფორმაციული წყარო არის ბუღალტრული ბალანსი, მისი მიმდინარე და წინა პერიოდების ფაქტობრივი და გეგმური ინფორმაცია, რომლის მეშვეობითაც შეისწავლება და ანალიზი უკეთდება გადახრებს. მოგება ზარალის ანგარიშების ინფორმაცია გამოიყენება, იმის გასარკვევად თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს საწარმო მის ხელთ არსებულ რესურსებს.

ორგანიზაციის გადახდისუნარიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე შიდა და გარე ფაქტორი ახდენს გავლენას.<sup>5</sup>

**შიდა** ფაქტორებში -გულისხმება ორგანიზაციის ფასწარმოქმნის პოლიტიკა, სტრატეგია რომელითაც აქტივების მართვა ხორციელდება, შეფასების მეთოდები. საჭიროა მისი გათვალისწინება რადგან, ხარჯებისა და შემოსავლების (რაც შემდგომში მათი სხვაობით ირკვევა ორგანიზაციამ მოგება მიიღო თუ ვერა) თანაფარდობის დინამიკის განმსაზღვრელი არის რესურსების გამოყენების ეფექტიაობასთან ერთად საწარმოს **სააღრიცხო პოლიტიკა, მაგალითად:**

- შერჩეული ამორტიზაციის მეთოდი
- მარაგების შეფასებისა და თვირღირებულების განსაზღვრის

მეთოდები

---

<sup>5</sup> ანა ჩეჩელაშვილი სადისერტაციო ნაშრომი „ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის გზები“. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.

- სასარგებლო მოსმახურების ვადის განსაზღვრა

**გარე** - ფაქტორებს მიეკუთნება კონკურენტული დარგი, საქმიანობის მამტაბი, ინფლაცია, კომპანიის სფერო და ასე შემდეგ. რადგან ზოგიერთი ფინანსური მაჩვენებლის დონე დამოკიდებულია ორგანიზაციის საქმიანობის სფეროსა და დარგზე. მიზეზი კი არის განსხვავება დაკრედიტების ვადებში, სასაქონლო მარაგების ოდენობაში, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის სიჩქარეში.

„ სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტებით, ასევე გამოყენების და მდგომარეობის მაჩვენებლების მეშვეობით ხორციელდება საწარმოს რესურსების ანალიზი.“<sup>6</sup>

სტრუქტურული-მთლიანად ბალანსის ინფორმაცია.

**მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში** = (მიმდინარე აქტივები/აქტივების ჯამი)\*100

პრაქტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა მიმდინარე აქტივებს, ლიკვიდურობა და წარმატების შანსი დამოკიდებულია სწორედ მათ ფულად საშვალეებზე გადაქცევის სიჩქარეზე.

- **გრძელვადიანი აქტივების პროცენტული წილი მთლიან აქტივებში** = (გრძელვადიანი აქტივები/აქტივების ჯამი)\*100%

ინფორმაციის წყაროა -ბუღალტრული ბალანსი, მინიმუმ ორი საანგარიშგებო პერიოდია საჭირო და აჩვენებს გრძელვადიანი აქტივების წილს მთლიან აქტივებში.

- **წმინდა აქტივის ღირებულება** = აქტივების საბალანსო ღრებულებას - ვალდებულების მოცულობა

საკუთარი სახსრებით შექმნილ ქონების ნაწილს წარმოადგენს. ბიზნესის ფინანსური რისკები მცირდება, როცა მაღალია წმინდა აქტივების წილი საბალანსო ღირებულების მიმართ.

<sup>6</sup> ქილაძე იზოლდა .ფინანსური ანალიზი.გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018.

- **საკუთარი საბრუნავი სახსრები** = მიმდინარე აქტივებს - მიმდინარე ვალებულებები

კოეფიციენტით დგინდება რამდენად შესაძლებელია მატერიალური მარაგების დაფარვა საკუთარი საბრუნავი სახსრებით.

მეწარმე საქმიანობის პროცესში ფულად სახსრებს აბანდებს მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებში. მიმდინარე აქტივებში დაბანდებული ფულადი სახსრები წელიწადში რამოდენიმეჯერ შემობრუნდება და შემდგომ ისევ ავანსირდება, რაც შეეხება გრძელვადიან აქტივებს მათ შემობრუნებას რამდენიმე წელი სჭირდება. აქედან გამომდინარე გრძელვადიან აქტივებს **ძირითად საშუალებებს** უწოდებენ, ხოლო მიმდინარე აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას **საბრუნავ საშუალებებს**.<sup>7</sup>

შიგა და გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული საბრუნავი საშუალებების ბრუნვის ხანგძლივობა. შიგას მიეკუთვნება ფასთა პოლიტიკა, აქტივების სტრუქტურა, მარაგების შეფასების მეთოდოლოგია. გარეგან ფაქტორებს კი წარმოადგენს : დარგობრივი კუთვნილება, საწარმოს მაშტაბი, საქმიანობის სფერო და სხვა.

**პრაქტიკაში საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის** შესასწავლად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

1. ბრუნვის პერიოდი დღეებში - გვიჩვენებს, ავანსირებული ღირებულების ერთი შემობრუნებისთვის საჭირო დღეების რაოდენობას.

(მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი / შემ.რეალიც)\*365

2. ბრუნვის რიცხვი - გვიჩვენებს შესასწავლ საანგარიშებო პერიოდში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვს.

ბრუნვადობის კოეფიციენტი = შემ.რეალიზაციიდან/ მიმდ. აქტ. საშ. წლ. ნაშ

<sup>7</sup> კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ. ფინანსური ანგარიშგება. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011.



3. დამაგრების კოეფიციენტი - რეალიზებული პროდუქციის ერთ ლარზე რა რაოდენობის საბრუნავი საშუალებები მოდის და გამოითვლება:

მიმნ .აქტი.საშ.წლიური ნაშ/შემოსავალი რეალიზაციიდან

გამოიყოფა ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ბრუნვადობის სიდიდესა და მის სიჩქარეზე, მიეკუთნება: საწარმოს საქმიანობის მასშტაბი (მსხვილი,საშუალო,მცირე) და დარგი (ვაჭრობა,მეწველობა,მომსახურება),საწარმოო ციკლის ხანგძლივობა,მომსახურების გაწევის ტექნოლოგიური ოპერაციების ხანგძლივობა,მომხმარებლის და მომწოდებლის გეოგრაფიული მდგომარეობა და სხვა.

ზოგადი მაჩვენებლების გარდა ანალიზის პროცესში დიდ ყურადღებას აქცევენ კერძო მაჩვენებლებსაც.გაანგარიშებისათვის გამოიყენება საბრუნავი საშუალებების ცალკეული შემადგენელი ელემენტები აღებული საშუალო წლიური სიდიდით,რაც საწყისი და საბოლოო ნაშთების ჯამის ნახევრის ტოლია.

**მასალების ბრუნვის რიცხვი = მატერ.დანახ/მასალების საშ.წლ.ნაშთი**

კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენჯერ გადავა მატერიალურ დანახარჯებში მასალასა და ნედლეულის მარაგებში ავანსირებული ღირებულება.

**დაუმთავრებელი წარმოების ბრუნვის პერიოდი=**

**= (დაუმთ.წარმ.საშ.წლი.ნაშთი \* 365) /მზა პრ თვითღ**

გვიჩვენებს რამდენი დღე სჭირდება დაუმთავრებელ პროდუქციას მზა პროდუქტად რომ გადაიქცეს.

**დაუმთავრებელი წარმოების ბრუნვის რიცხვი=**

**= მზა პროდუქციის თვითღ. / დაუმთ წარმო საშ წლ. ნაშთი**

გვიჩვენებს რამდენჯერ გადავა დაუმთავრებელი პროდუქცია წლის განმავლობაში მზა პროდუქციაში.

**მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი (დღ)=**

**= (მზა პროდუქციის საშ წლი ნაშთი \*365) /რეალიზ საქ თვითღირებულება**

ასახავს რამდენჯერ მოიტანს შემოსავალს მზა პროდუქტში ავანსირებული ღირებულება, ბრუნვის რიცხვი -რამდენჯერ შეიძლება გადაიქცეს ფულად ფორმად მზა პროდუქტში ავანსირებული ღირებულება.

ბრუნვადობის კოეფიციენტი იმითაა კიდევ საინტერესო რომ მისი გამოთვლა შესაძლებელია როგორც ერთიანად აღებული მიმდინარე აქტივის, ასევე ცალ-ცალკე მუხლების მიმართაც: დებიტორული დავალიანება, მასალა და ნედლეული. მარაგების ბრუნვადობა დღეებში ასახავს შენახვის პერიოდს. მისი შენახვა გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება. ამიტომ ამ პერიოდის გახანგრძლივება უარყოფითი მაჩვენებელია, ვინაიდან იზრდება ხარჯები, სასაქონლო დანაკრავები და საბოლოო ჯამში მცირდება მარაგები. საბრუნავ საშუალებებიდან დიდი ყურადღება ეთმობა **დებიტორულ დავალიანებებს**, რადგან მათი დროული ამოღების შემდგომ ორგანიზაციის უჩნდება ფულადი სახსრები.

საქმიანი აქტივობისა და საბრუნავი საშალებების ბრუნვადობის კოეფიციენტს ეფექტიანობის კოეფიციენტები ჰქვია, რადგან მნიშვნელოვნად არიან დაკავშირებული მომგებიანობასთან. მაჩვენებლების ანალიზით, კი შეგვიძლია უკეთ შევაფასოთ ფინანსური მდგომარეობა და გავაკეთოთ ობიექტური დასკვნები.

თუ საბრუნავი საშუალებების ბრუნვის პერიოდი საანგარიშგებო წელს ნაკლებია წინა წელთან შედარებით, ნიშნავს რომ ავანსირებული ღირებულების ბრუნვა დაჩქარდა და ხდება მათი ეფექტური გამოყენება.

ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლების გამოთვლა და ანალიზი საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს. ეს იმით არის განპირობებული, რომ ნებისმიერი აქტივის ბრუნვის სიჩქარე დამოკიდებულია თითოეული ელემენტის ერთი ფუნქციონალური ფორმიდან მეორეში გადასვლის

სიჩქარეზე. ბალანსის სტრუქტურა დამოკიდებულია მარაგების რეალიზაციის სიჩქარეზე. ბალანსი კი მაშინ არის ლიკვიდური როცა შესაძლებელია აქტივების სწრაფი რეალიზაციით დაიფაროს დებიტორული დავალიანების პერიოდის შემცირება დადებითად მოქმედებს საწარმოს საქმიან აქტიურობაზე. ინფორმაციის წყარო რომლითაც აღნიშნული მაჩვენებლები გამოითვლება წარმოადგენს - ბალანსი და მოგება/ზარალის ანაგრიშგება.

**საწარმოთა საქმიან აქტივობაზე აგრეთვე გავლენას ახდენს ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა, რომელიც შეისწავლება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა მათი ფონდუკუგება, ფონდტევადობა და რენტაბელობა.**

**ფონდუკუგება**-ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, ვინაიდან წარმოადგენს საშუალოდ რა მოცულობის პროდუქცია მიიღება ძირითადი საშუალებების ყოველ ერთ ლარზე. გამოითვლება წარმოებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების ღირებულების ფარდობით გამოყენებული ძირითადი საშუალებების საშუალო წლიურ ღირებულებასთან.

**ფონდტევადობა** - ფონდუკუგების შებრუნებული მაჩვენებელია და აჩვენებს ძირითად საშუალებებში ავანსირებული ღირებულების რა რაოდენობა იყო საჭირო ყოველი ერთი ლარის პროდუქციის უზრინველსაყოფად.

**რენტაბელობა** - გაიანგარიშება საწარმოს მიერ მიღებულ მოგებასა და ძირითადი საშუალებების საშუალო წლიურ ღირებულებას შორის ფარდობით

გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა ბიზნესის ფინანსური მდგრომარეობის შეფასების მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს.

სიტყვა „ლიკვიდური“ -თხევადს, მოძრავს ნიშნავს. ეკონომიკაში ის ფულადი სახსრების არსებობას გულისხმობს, რომელიც თავისმხრივ საწარმოში ყველაზე სწრაფად მოძრავი საშუალებებია.

განასხვავებენ აქტივების, ბალანსის და საწარმოს ლიკვიდურობას.

„ბალანსის სტრუქტურის მიხედვით განიხილავენ შემდეგ მოდელებს“

იდეალური მოდელი არის როცა, მიმდინარე აქტივები ემთხვევა მოკლევადიან ვალდებულებებს, პრაქტიკაში ესეთი მოდელი თითქმის არ არსებობს, რადგან საწარმო ხშირად იძულებულია ფიქსირებული აქტივების გაყიდოს ვალდებულებების დაფარვის მიზნით.

აგრესიული მოდელი მოკლევადიანი ვალდებულებებით იფარება მხოლოდ მიმდინარე აქტივების ცვლადი ნაწილი. მუდმივი ნაწილი მიმდინარე აქტივებისა კი იფარება კრედიტით და საკუთარი კაპიტალით. ეს სიტუაცია საკმაოდ სარისკოა, რადგან ძალიან რთულია შემოიფარგლო მიმდინარე აქტივების მინიმუმით.

კონსერვატიული მოდელი გულისხმობს მოკლევადიანი ვალდებულებების არ არსებობას და მიმდინარე აქტივების დაფინანსებას საკუთარი კაპიტალის და გრძელვადიანი ვალდებულებების ხარჯზე. ეს მოდელი გრძელვადიან პერსპექტივაში არ არის მიზანშეწონილი.

კომპრომისრული მოდელი ყველაზე რეალურად მიიჩნევა, რადგან მიმდინარე კაპიტალი ამ შემთხვევაში ტოლია მუდმივი მიმდინარე აქტივების ჯამისა და მათი ცვლადი ნაწილის ნახევრისა.

ეფექტიანობიდან გამომდინარე მომგებიანობის კოეფიციენტები ზოგად და კერძო მაჩვენებლებად იყოფა, რომლებიც გაანგარიშების მეთოდებით, გამოყენების მიზნებით და მათ საფუძველზე გაკეთებული დასკვნებით განსხვავდებიან. იქიდან გამომდინარე რომ, ეფექტიანობის ყველა მაჩვენებლების გამოყენება ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას ყოველთვის ვერ კეთდება, მიზანშეწონილია მათგან უფრო პრიორიტეტული მაჩვენებლის შერჩევა.

„კერძო მაჩვენებლები:

- წმინდა მოგების მარჟა
- გამოყენებული კაპიტალის უკუგება (ROCE)
- საერთო მოგების მარჟა

- საოპერაციო მოგების მარჟა
- აქტივებზე შემოსვლის კოეფიციენტი
- (ROE), ანუ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა
- (ROA)
- (ROI)<sup>8</sup>

კერძო მაჩვენებლები გაინაგრაიშება მოგება-ზარალის ანგარიშების საფუძველზე და მათი ანალიზით შესაძლებელია საქმიანობის მხოლოდ ერთი მხარის შეფასება. ზოგადი მაჩვენებლებით კი ხდება მთლიანად სამეურნეო სუბიექტში დაბანდებული კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა.

მომგებიანობა ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ფარდობითი მაჩვენებელია, გამოხატული ხარისხობრივად. მისი საშუალებით დგინდება, როგორ იყენებს საწარმო მის ხელთ არსებულ რესურსებს მოგების მისაღებად. გრძელვადიანი თვალსაზრისით მომგებიანობას სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა.

**საერთო მოგების მარჟა**-აჩვენებს საერთო მოგების იმ რაოდენობას, რომელიც რჩება კომპანიას რეალიზებული პროდუქციის და საქონლის ასევე მომსახურების გაწევის შემდგომ. მარჟას აწესებს საწარმო რომლის მიღებაც სურს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ერთეულზე. გაანგარიშება ხდება საერთო მოგების შეფარდებით რეალიზაციის მოცულობასთან. ხშირად ამ კოეფიციენტით ფასდება გაყიდვების რენტაბელობა. კოეფიციენტი გვიჩვენებს შეუძლია თუ არა ორგანიზაციას შეინარჩუნოს დაბალი დანახარჯი პროდუქციაზე.

საერთო მოგების მარჟაზე გავლენას ახდენს: შესყიდვების ღირებულება, სარეალიზაციო ფასების ცვლილება, საწარმოო დანახარჯები და მარაგების შეფასების, ინვეტარიზაციის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის მიკუთვნებისას დაშვებული შეცდომები. აღნიშნული მიზეზი შეიძლება იყოს: მარაგების ჩამოწერით გამოწვეული ზარალი.

<sup>8</sup> კოვზანაძე ი. ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისთვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი 2001.

**რაც შეეხება წმინდა მოგების მარჯას-** გამოითვლება წმინდა მოგების შეფარდებით რეალიზაციის მოცულობასთან. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს წმინდა მოგების ოდენობას, რომელიც რეალიზაციის გამოკლებული ყველა დანახარჯის შემდეგ რჩება საწარმოს. თუ მოხდება წმინდა მოგების მარჯაში ცვლილება აუცილებლად უნდა იქნეს.

ერთ-ერთ მნიშველოვან მაჩვენებლს წარმოადგენს მომგებიანობის **კოეფიციენტი ROA, ანუ აქტივების რენტაბელობა.**

**ROA=** ასახავს თუ რამდენი ლარის მოგების მიღება შეუძლია საწარმოს ერთი ლარის ღირებულების აქტივებით, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია წმინდა მოგების მარჯაზე.

**აქტივებზე შემოსვლის კოეფიციენტი** -ეს კოეფიციენტი მოიცავს საოპერაციო და არასაოპერაციო და გამოითვლება შემდეგნაირად:

აქტივებზე შემოსვლის კოეფიციენტი= მთლიანი აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი საოპერაციო მოგების მარჯა /არასაოპერაციო შემოსავლები

კოეფიციენტი იზრდება, როცა უმჯობესდება მთლიანი აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი. გამოითვლება:

**აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი** = ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან/ გამოყენებული კაპიტალი

კოეფიციენტი განაპირობებს რამდენი ლარის რეალიზაცია განაპირობა აქტივების ღირებულების თითოეულმა ლარმა, ანუ რამდენად ინტენსიურად ამუშავებს საწარმო მის ხელთ არსებულ რესურსებს.

აქტივების ბრუნვადობის მაჩვენებელი შეიძლება ორი მიმართულებით განვიხილოთ. ერთის მხრივ ასახავს დაბანდებული კაპიტალის ბრუნვადობას საწარმოს აქტივებში საანგარიშგებო პერიოდში, ე.ი აფასებს ყველა აქტივების გამოყენების ინტენსივობას მათი ფორმირების წყაროებისგან დამოუკიდებლად, მეორეს მხრივ გვიჩვენებს აქტივებში დაბანდებული ერთი ლარიდან რამდენი ლარის ამონაგები

მიღებაა მოსალოდნელი. მაჩვენებლების ზრდა გვიჩვენებს მათი გამოყენების ეფექტიანობის ზრდას.

ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლების გამოთვლა სხვადასხვა ბაზით არის შესაძლებელი. როგორცაა, აქტივების ჯამი, საპერაციო ხარჯები, გამოყენებული კაპიტალი და ა.შ.

**აქტივების მომგებიანობა**= მოგება დაბეგვრდამდე\*100/აქტივების ჯამი

იგი აჩვენებს ყოველ ერთ ლარ აქტივზე რა რაოდენობის მოგების მიღება შეიძლება. ითვლება რომ არის ყველაზე ზოგადი მაჩვენებელი და ახასიათებს მთელი ავანსირებული ღირებულების გამოყენების ეფექტიანობას.

**წარმოების მომგებიანობა** =საოპერაციო მოგება\*100/მატ,მარაგ+ძირ.საშ

ახასიათებს,იმ აქტივების გამოყენების ეფექტიანობას,რომელთა მეშვეობითაც იქმნება პროდუქტი.

**გამოყენებული კაპიტალის უკუგება** =მოგება პრ და გადას

გადახდამდე/სააქ კაპ+რეზ+გრ.ვალ

აჩვენებს გამოყენებული კაპიტალის საერთო უკუგებას აღებულ სესხებზე პროცენტის და მოგების გადასახადის გადახდამდე.

ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებლების დაანგარიშება ხდება წმინდა მოგების მაჩვენებლების მიხედვით და ასევე სხვადასხვა ბაზის საფუძველზე.

როგორცაა:

**აქტივების ფინანსური რენტაბელობა**= წმინდა მოგება\*100/აქტივები

წარმოადგენს აქციონერთა ინტერეს რადგან ეხება პოტენციულ შემოსავალს.

**წმინდა აქტივების მომგებიანობა (RONA)**= წმინდა მოგება/(გრძ

აქტს+წმინ.მიმდ აქტ)

RONA არის წმინდა აქტივების მომგებიანობა. მენეჯმენტის მუშაობის მაღალ ხარისხს მიუთითებს ამ კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებელი.

პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებელია:

**მარჟა**= მოგება რეალიზაციიდან\*100/შემოსავალი რეალიზაციიდან

მარჟა წარმოადგენს პროცენტს რომელიც მიიღება ყოველ ერთ ლარ შემოსავალზე და ასახავს საწარმოს მდგომარეობას საქონლის ბირჟაზე.

**ფასნამატი** =საოპერაციო მოგება\*100/რეალიზებული პროდუქციის სრული თვითღირებულება

აჩვენებს ყოველ გაწეულ ერთ ლარ დანახარჯზე მოგების პროცენტულ დონეს. ფასნამატი ყოველთვის მეტია მარჟაზე. მოგება ზარალის ანგარიშგების შედეგის დროს მას დიდი ყურადღება ექცევა.

**NINS**=წმინდა მოგება/მოგება რეალიზაციიდან

კოეფიციენტი აჩვენებს მოგების იმ პროცენტს რომელიც საწარმოს მესაკუთრეებს რჩებათ რეალიზაციიდან. ამ კოეფიციენტით იზომება მართველობის მუშაობის ეფექტიანობა.

აქტივების საერთო მომგებიანობაზე გავლენას ახდენს აქტივების აქტივების სტრუქტურა, დაფინანსების წყაროები,პროდუქციის ხარისხიანობა და ფასები, მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენების ხარისხი

**მოგების ხარჯდეტოვადობა** =წლიური ხარჯები/მოგება დაბეგვრდამდე=)მატერიალური ხარჯი+შრომითი ხარჯი+ცვეთის ხარჯი)/მოგება დაბეგვრდამდე,ანუ წლიური მოგება

ეს კოეფიციენტი აჩვენებს, საშუალოდ,რამდენი ლარის ხარჯი იყო გაწეული ყოველი ერთი ლარი წლიური მოგების მისაღებად.



შრომისნაყოფიერების ცვლილებას შუემდგომი გავლენა მოახდინოს საწარმოს მომგებიანობაზე. რაც უფრო მწარმოებლურია შრომა, სხვა თანაბარ პირობებში მომგებიანობაც გაიზრდება. ბიზნეს თანაედროვე პირობებში წინა პლანზე ჰყავს წამოწეული თანამშრომლები, გაჩნდა უამრავი პროგრამა რომლითაც შესაძლებელია პროდუქტიულობის კონტროლი, გადახრების ანალიზი და იმ თანამშრომლების წახალისება რომლებიც გამოირჩევიან პროდუქტიულობით.

პროდუქტიულობა საწარმოს მასშტაბით გამოითვლება წლიური პროდუქციის შეფარდებით დასაქმებულთა საშუალო სიობრივ რიცხვთან, რომელიც აჩვენებს წლის განმავლობაში რამდენი ლარის პროდუქციაა გამოშვებული ყოველ ერთ დასაქმებულზე.

შრომითი და სხვა ცალკეული სახის რესურსების გამოყენების ეფექტიანობა შეიძლება მოგების ხარჯტევადობის ფორმულით იქნეს შესწავლილი, გამოვლენილი გადახრების შესაბამისად.

### 1.3 საწარმოთა ლიკვიდურობის მაჩვენებელთა სისტემა

საწარმოს გადახდისუნარიანობა შეგვიძლია დავახასიათოთ მისი ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით. „ლიკვიდური“ თხევადს, მოძრავს ნიშნავს.

საწარმოს აქვს სტაბილური ფინანსური გარემო, როცა მისი გადახდისუნარიანობა საიმედოა.

პრაქტიკაში, გადახდისუნარიანობა გულისხმობს რომ ლიკვიდურ აქტივებს ნებისმიერ დროს შეუძლია დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები. როდესაც ლიკვიდური აქტივები მეტია მოკლევადიან ვალდებულებებზე ნიშნავს რომ მიღწეულია ფინანსური მდგრადობა. მაშასადამე, მდგრადობას განსაზღვრავს -წმინდა ლიკვიდური აქტივები.

საწარმო ლიკვიდურია ნიშნავს რომ მას შეუძლია დროულად დაფაროს ვალდებულებები ფულადი თანხებით.

**ცხრილი 1.3.1 სს „ლომისის“ გადახდისუნარიანობის ბალანსი 2018 წლის ბოლოს**

მიმ აქტივები	ათ.ლარი	ხვ.წ %	მიმ ვალდე	ათ ლარი	ხვ.წ %
ფული და ეკვ	20300	49	აღებული სესხი	114480	90
მარაგები	10653	26	სავაჭრო და სხვა	11131	9
სავაჭრო და სხვ	10799	26	საგადასახადო ვალ	1098	1
სულ	41752	100	სულ	126709	100

სააქციო საზოგადოება „ლომისის“ გადახდისუნარიანობის ბალანსიდან ჩანს, რომ მიმდინარე აქტივები ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებებზე (126709-41752) 84957 ლარით, რაც დადებით მოვლენად ვერ ჩაითვლება.

**ცხრილი 1.3.2 შპს „ზედაზე-2012“-ის გადახდისუნარიანობის ბალანსი 2018 წლის ბოლოს**

მიმ აქტივები	ათ.ლარი %	ხვ.წ	მიმ ვალდე	ათ ლარი%	ხვ.წ
ფული და ეკვ	213839	4	სავაჭრო და სხვა	6675023	69
მარაგები	557985	11	მიღებული სესხ	3000000	31
სავაჭრო და სხვ	4162467	84			
სულ	4949432	100	სულ	9675023	100

შპს „ზედაზენი -2012“ -ის გადახდისუნარიანობის ბალანსიდან ჩანს, რომ მიმდინარე აქტივები ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებზე.

ამის შემდგომ შეისწავლება ლიკვიდურობის კოეფიციენტები, რომელიც აჩვენებენ რამდენად შეუძლია საწარმოს დაფაროს თავისი ვალდებულებები. ეს კოეფიციენტებია:

- აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- საერთო ლიკვირუდობის კოეფიციენტი
- სსს მანვრირების კოეფიციენტი
- ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის დიაპაზონი)
- პერსპერტიული ლიკვიდურობა
- კრიტიკური ლიკვიდურობა
- მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი

ამრიგად, გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა არსებითად ერთი და იგივე შნაარსის მატარებელია და გადახდისუნარიანობის დონე ლიკვიდურობის კოეფიციენტით იზომება.

## თავი 2. საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის ანალიზის შედეგები

## 2.1. საწარმოთა გადახდისუნარიანობის ანალიზის შედეგები

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მნიშვნელოვან მაჩვენებლებს წარმოადგენს გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა. ფინანსურად მდგრად ითვლება საწარმო რომელიც ადვილად რეალიზებადი სახსრებით ახერხებს დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები.

საწარმოსთვის ყველაზე ლიკვიდურად ითვლება - ყველაზე სწრაფად მოძრავი საშუალებები „ფულადი თანხები „ბალანსის მუხლში - „მოკლევადიანი აქტივები „ აქტივები დალაგებულია ლიკვიდურობის ზრდის მიხედვით.

სპეციალური ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ აქტივების, ბალანსის და საწარმოს ლიკვიდურობას.

**ლიკვიდურია ისეთი აქტივი** - რომელსაც შეუძლია გაცვლის საშუალებად გადაიქცეს ერთი წლის განმავლობაში. მათ უწოდებენ მობილური გადახდის საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც დაიფარება მოკლევადიანი ვალდებულებები.

აქტივების ლიკვიდურობის მთავარი არსი ფულად საშუალებებად ქცევის უნარია. შედარებით ნაკლებ ლიკვიდურ აქტივად აღიარებულია უძრავი ქონება. ბალანსის სტრუქტურა მოითხოვს რომ აქტივების დალადგეს ლიკვიდურობის ზრდადობის მიხედვით.

ტერმინს „ლიკვიდურობა“ გამოყენების ფართო სპექტრი გააჩნია, მისი დახმარებით შესაძლებელია შეფასდეს როგორც ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა ობიექტის (საწარმო, ბანკი), ასევე ეკონომიკური ცხოვრების ობიექტის (საქონელი) და ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ლიკვიდობა.

**ლიკვიდურია ბალანსი**, თუ მისი ქონება იძლევა საშუალებას აქტივების სწრაფი რეალიზაციის ხარჯზე ვალდებულებები დაფაროს, ისე რომ არ დაჭირდეს სხვა წყაროების ან სახსრების მოზიდვა.

---

<sup>9</sup> ჯიქია მერაბ .ფინანსური ანალიზი.გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018.

**საწარმოს ლიკვიდურობა**, უზრუნველყოფს ვალდებულებების დროულად დაფარვა და ამისათვის გააჩნდეს საკმარისი ოდენობით სახსრები.

**გადახდისუნარიანობა** გულისხმობს ლიკვიდური აქტივების საკმარისობას ნებისმიერი მომენტისთვის, რათა შესაძლებელი იყოს მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა, რისი პირდაპირი ინტერესი გააჩნია მენეჯმენტს და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარეს.

საკუთარი საბრუნავი კაპიტალი არის მაჩვენებელი რომელიც ახასიათებს საწარმოს გადახდისუნარიანობას და გაიანგარიშება როგორც სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მოკლევადიან ვალდებულებებში. საკუთარ კაპიტალს ბიზნესი ფლობს მანამდე სანამ მიმდინარე საბრუნავი საშუალებები აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს, ამ მაჩვენებლებს წმინდა მიმდინარე აქტივებს უწოდებენ.

საბრუნავი კაპიტალის ტრანსფორმირება ფულად სახსრებად მარტივად უნდა მოხდეს, რადგან თუ საბრუნავ აქტივებში სჭარბობს რთულადრეალიზებადი აქტივები, დაეცემა საწარმოს გადახდისუნარიანობა.

პრაქტიკაში გადახდისუნარიანობა ითვლება ბალანსის მონაცემებზე დაყრდნობით თვეში ან კვარტალში ერთხელ. ანგარიშსწორება კრედიტორებთან უმეტეს შემთხვევაში ყოველდღიურად წარმოებს. შესაბამისად რეალიზაციიდან და დებიტორული დავალიანებიდან მიღებული შემოსავლების კონტროლისთვის მიზანშეწონილია კალენდარის შედგენა, სადაც ასახული იქნება ხელთ არსებული ფულადი სახსრები და მისაღები მოთხოვნები ხოლო მეორე მხრივ საგადახდო ვალდებულებები ამავე პერიოდისათვის. ოპერატიული საგადახდო კალენდარი დგება რეალიზაციის, შეძენილი მასალების და ნედლეულის, შრომის ანაღზაურების და ბანკის ამონაწერის მონაცემებზე დაყრდნობით.

გადახდისუნარიანობა შეიძლება დავაკლასიფიციროთ შემდეგნაირად: დროებითი, ხანგძლივი, შემთხვევით და ქონიკული. გამომწვევი მიზეზები კი არასაკმარისი ფინანსური რესურსია, რეალიზაციის გეგმის ვერ შესრულება, საბრუნავ საშუალებათა არარაციონალური სტრუქტურა და გამოყენება, დებიტორული დავალიანებების არადროული მიღება.

გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა შეიძლება შეფასდეს რიგი აბსოლუტური და შეფარდებით მაჩვენებლებით. საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ოდენობა წარმოადგენს ძირითად აბსოლუტურ მაჩვენებლებს.<sup>10</sup>

ლიკვიდურობის ანალიზი გულისხმობს შედარებას აქტივების, რომლებიც დაჯგუფებულია ლიკვიდურობის კლების მიხედვით მოკლევადიან ვალდებულებებთან მათი დაფარვის ვადების ზრდის პრინციპით.

ფულად საშუალებებად გარდაქმნის სისტემის მიხედვით, საწარმოს აქტივები ასეთი სახით დაჯგუფდება:

A1 - მაღალიკვიდური აქტივები - საწარმოში არსებული ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები,ფასიანი ქაღალდები;

A2 -სწრადაფ რეალიზებადი აქტივები - დებიტორული დავალიანებები, რომლებიც უნდა დაიფაროს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში;

A3 - ნელა რეალიზებადი აქტივები - დაუმთავრებელი წარმოება, მარაგები, გადახდილი დღგ და დებიტორული დავალიანება, რომელთა დაფარვაც 12 თვეზე მეტ დროში არის მოსალოდნელი;

A4- ძნელად რეალიზებადი აქტივები - საწარმოს მთავარი საქმიანობის განმახორციელებელი ძირითადი საშუალებები; დაუმთავრებელი მშენებლობა, არამატერიალური აქტივები;

საწაროს ვალდებულებები შეგვიძლია დავაჯგუფოთ დაფარვის ვადებიდან გამომდინარე :

L1- სასწრაფო ვალდებულებები - კრედიტორული დავალიანები და ბანკის სესხი, რომელთა გადახდის ვადა დამდგარია;

L2-მოკლევადიანი ვალდებულებები - ეს არის მოკლევადიანი სესხები ( გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილიც მოიაზრება ) და სხვა მოკლევადიანი

L3- გრძელვადიანი ვალდებულებები - აღებული ბანკის გრძელვადიანი სესხები, ფინანსური იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებები ,გრძელვადიანი თამასუქები, ობლიგაციები

---

<sup>10</sup> ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ., ეკონომიკური ანალიზი ,თბილისი ,გამომცემლობა „მერიდიანი“,2011.

L4-მუდმივი პასივები - წარმოადგენს საწარმოს საკუთარ კაპიტალს, რომელიც მუდმივად საწარმოს განკარგულებაშია

„ ლიკვიდურობის კოეფიციენტები აჩვენებენ, რამდენად შეუძლია თავისი ვალდებულებების დაფარვა საწარმოს. პრაქტიკაში ძირითადად იყენებენ კოეფიციენტებს:

- აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- მარაგების დაფარვის კოეფიციენტი
- საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში
- ფუნქციონირებადი სამუშაო კაპიტალის მანევრირების მაჩვენებელი „<sup>11</sup>

**აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი = ფულადი თანხები / მიმდინარე ვალდებულებებზე**

და გვიჩვენებს კონკრეტულ პერიოდში საწარმოში არსებული ფულადი სახსრებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვა არის შესაძლებელი. ვალდებულების დაფარვის შესაძლებლობის შეფასებისათვის ყველაზე უტყუარი მექანიზმია, რომელიც უნდა იყოს მინიმუმ 20%. ეს კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე ვალდებულებების წილს, რომელიც ბალანსის მიხედვით ყველაზე მაღალი ლიკვიდურობის მქონე ნაწილის „ფულადი სახსრების ხარჯზე უნდა დაიფაროს „ იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ძალზე მცირეა ალბათობა ყველა კრედიტორმა ერთდროულად წაუყენოს მოთხოვნა საწარმოს.

**სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი = (ფულადი სახსრები + მოკ მოთხოვნება) / მიმდინარე ვალდებულებებზე**

ეს კოეფიციენტი ცნობილია მჟავა-ტესტის სახელით, კრიტიკული შეფასების კოეფიციენტია რომელიც უფრო დამაჯერებელია ლიკვიდურობის შემოწმებისას.

---

<sup>11</sup> ჭილაძე ი., გოგრიჭიანი ზ., „ეკონომიკური ანალიზი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011.

საწარმოების უმრავლესობისთვის რთულია სასაქონლო მატერიალური მარეგების მომენტალურად ფულად ფორმაში გარდასახვა, ამიტომ უმჯობესია რომ ლიკვიდურობის მაჩვენებლის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინოს ეს აქტივი. ზოგადად კი გვიჩვენებს არსებული და მისაღები ფულადი თანხებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვა არის შესაძლებელი. კოეფიციენტი 1-2 შორის უნდა მერყეობდეს.

ორი შემთხვევა განიხილება სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის გაანგარიშებისას:

1. როცა, ლიკვიდური საბრუნავი საშუალებები მთლიანად აკომპენსირებს მოკლევადიან ვალდებულებებს
2. როცა ხდება ფულადი საშუალებების დადებითი ნაკადების მნიშვნელოვანი გენერირება.

უნდა აღინიშნოს რომ კრიტიკური კოეფიციენტის სასურველი დონე ერთის ტოლია. მიმდინარეც და სწრაფი ლიკვიდურობის მაჩვენებლების გაანგარიშება ბალანსში ასახული ინფორმაციით ხდება.

**საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები**

და გვიჩვენებს საწარმოს უზრუნველყოფას საბრუნავი სახსრებით, რამდენჯერ მეტია მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებზე. მაჩვენებლის გამოთვლისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული დღგ-ს გადასახადი და წინასწარგაწეული ხარჯები, პარალელურად მიმდინარე ვალდებულებებიდან უნდა გამოირიცხოს მომავალში მისაღები თანხები და რეზერვები. შედეგი არ უნდა იყოს 2-ზე ნაკლები და 3-ზე მეტი. სასურველი არაა მისი მაღალი დონე, რადგან უკუშედეგს იძლევა თუ კი მიმდინარე აქტივები მაღალი ტემპით იზრდება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესები ფერხდება, ფინანსური მდგომარეობა უარესდება და ავანსირებული ღირებულების ბრუნვა ეცემა.



საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში = საკუთარი საბრუნავი საშალებები / მარაგები

ეს კოეფიციენტი ახასიათებს მარაგების ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით, მისი ყველაზე ქვედა ზღვარი 50 % -ის ტოლი უნდა იყოს.

მარაგების დაფარვის კოეფიციენტი = ( საკუთარი საბრუნავი სახსრები + ბანკის სესხი სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისათვის + კრედიტორული დავალიანება ) / მარაგები

ხშირია ბიზნესში შემთხვევები, როცა ფირმას უჩნდება გარკვეული ფინანსური სირთულეები, შესაბამისად ის თავის ვალეულებებს გაცილებით ნელი ტემპით დაფარავს: ხდება დამატებითი სახსრების მოძიება (ბანკის მოკლევადიანი სესხები), კრედიტების გადავადება და ა.შ. თუ საბრუნავ საშუალებებზე უფრო სწრაფად იზრდება მოკლევადიანი ვალდებულებები, საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი მცირდება. ეს მიუთითებს რომ საწარმოს პრობლემები აქვს ლიკვიდურობასთან. ხოლო თუ მოხდა ისე რომ საბრუნავი საშუალებები 2 ჯერ და მეტჯერ აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს, ითვლება არასასურველად, რადგან კომპანიის მენეჯმენტი არარაციონალურად და ეფექტურად იყენებს რესურსებს.

ბალანსის ლიკვიდურობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი წესი :

$$„A1 \geq L1$$

$$A2 \geq L2$$

$$A3 \geq L3$$

$$A4 \leq L4^{12}$$

იმ შემთხვევაში თუ სრულდება პირველი სამი თანაფარდობა, სრულდება მეოთხეც მნიშვნელოვანია პირველი სამი ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების ჯამების შეფარდება. მეოთხე თანაფარდობა არის მახალანსებელი ხასიათის და ატარებს ღრმა ეკონომიკურ

<sup>12</sup> ხორავა, ა. კვატაშიძე ნ., სრესელი. ნ, გოგრიჭიანი. ზ, ფინანსური აღრიცხვა , თბილისი 2011.

შინაარს, რომელიც ასახავს მინიმალურ დონეს ფინანსური მდგრადობის. მინიმალური კი მოიაზრებს რომ საწარმოს გააჩნია საკუთარი საბრუნავი საშუალებები.

„სწრაფად რეალიზებადი და მაღალლიკვიდური საშუალებების სასწრაფო და მოკლევადიან ვალდებულებებთან თანაფარდობით მიმდინარე ლიკვიდურობა დგინდება, რომლის შედეგად მიუთითებს საწარმოს გადახდისუნარიანობაზე (ან პირიქით) უახლოესი პერიოდის განმავლობაში.“<sup>13</sup>

### ცხრილი 2.1.1 ლიკვიდურობის კოეფიციენტები

საანალიზო საწარმოები	შპს ზედაზენი 2012			სს ლომისი		
	2016	2017	2018	2016	2017	2018
წელი						
აბსოლუტური ლიკვიდურობა	0.04	0.07	0.02	0.1	0.12	0.86
სწრაფი ლიკვიდურობა	0.76	0.65	0.45	0.16	0.22	1.3
საერთო ლიკვიდურობა	0.82	0.71	0.51	0.26	0.31	1.76
ბივერის კრიტიკური კოეფიციენტი	0.76	0.06	0.4	0.17	0.21	0.26
ბივერის შესწორებული კოეფიციენტი	9.18	4.9	4.65	-	0.8	4.37

ლიკვიდურობის კოეფიციენტების განხილვისას დგინდება, რომ ორივე საანალიზო საწარმოს გააჩნია პრობლემები ამ მიმართულებით. კერძოდ: ბივერის კრიტიკული კოეფიციენტი რომელიც უნდა იყოს მოთავსებული 0,7-0,8 -ს შორის, მხოლოდ 2016 წელს არის მიღწეული შპს „ზედაზენი-2012“-ის მიერ, ლომის ამ მხრივ ძალიან დაბალი შედეგები აქვს.

ბივერის შესწორებული კოეფიციენტი არამყარი ზრდით ხასიათდება 2017 დან 2018 წლამდე 5-ჯერ გაიზარდა სს „ლომისში“ , რაც შეეხება „ზედაზენ-2012“-ს კოეფიციენტები შემცირების ტენდენციით ხასიათდება, თითქმის 50%-ით შემცირდა 2016 წლიდან 2017 წლამდე.

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი ვალების დაფარვის შესაძლებლობის შეფასებისათვის ყველაზე უტყუარი მექანიზმია, რომელიც უნდა იყოს

<sup>13</sup> F7-ფინანსური ანგარიშგება , ACCA, თბილისი ,ბაგ,2019.

მინიმუმ 20 %. ანალიზიდან ჩანს, რომ საანალიზო საწარმოებს არ შეუძლიათ მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა ფულადი სახსრების ხარჯზე.

სწრაფი ლიკვიდურობის მაჩვენებელი, როგორც წესს 1-2 შორის უნდა მერყეობდეს, დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მხოლოდ სს ლომის გააჩნია 2018 წელს.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის შედეგი არ უნდა იყოს 2-ზე ნაკლები და 3-ზე მეტი.

**ცხრილი 2.1.2 ლიკვიდურობის ხარისხის შეფასება**

მაჩვენებლები	შპს ზედაზენი 2012		სს ლომისი	
	2017	2018	2017	2018
A1 ≥ P1	არა	არა	არა	კი
A2 ≥ P2	კი	კი	კი	კი
A3 ≥ P3	კი	კი	კი	არა
A4 ≤ P4	არა	არა	არა	არა

როგორც ცხრილიდან ჩანს შპს „ზედაზენი 2012“ ვერ აკმაყოფილებს პირველ პირობას A1 ≥ P1, და მაღალლიკვიდური აქტივები ნაკლებია სასწრაფო ვალდებულებებზე, ხოლო სს „ლომისი“ 2018 წელს ამ მაჩვენებელს აკმაყოფილებს.

A2 ≥ P2, სწრაფად რეალიზებადი აქტივები მეტია მოკლევადიან ვალდებულებებზე ორივე საანალიზო საწარმოში.

A3 ≥ P3, ნელა რეალიზებადი აქტივები მეტია გრძელვადიან ვალდებულებებზე შპს „ზედაზენი 2012“-ში ორივე საანგარიშგებო წელს, რაც შეეხება სს „ლომისში“ 2017 დადებითი შედეგია, ხოლო 2018- არა .

A4 ≤ P4, ზნელად რეალიზებადი აქტივები მუდმივ პასივებთან შედარებით მეტია ორივე საანალიზო საწარმოსთვის თითოეულ საანგარიშგებო წელს.

**2.2. საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის ანალიზის შედეგები**

გარდა ლიკვიდობის კოეფიციენტებისა საინტერესოა განვიხილოთ ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლები.

საბრუნავი კაპიტალის (საშუალებების) ბრუნვადობის ხარისხი შეისწავლება მათი ბრუნვადობის მაჩვენებლებით.

იმისათვის, რომ კონკრეტულმა დარგმა შეუფერხებლად იმუშაოს აუცილებელ პირობას მისი სასაქონლო მატერიალური ფასეულობებით მომარეგების, წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების უწყვეტი განხორციელება შეადგენს. აღნიშნულის მისაღწევად კი საჭიროა გარკვეული ოდენობის ფულადი სახსრებისა და ფულის ეკვივალენტების ოდენობა. კომპანიაში არსებულ რესურსებში ავანსირებული, ანუ წინასწარ დაბანდებული სახსრების გამოყენების ტემპი, სიჩქარე, მათი გამოყენების ეფექტიანობა დგინდება საქმიანი აქტივობის ანალიზით.

საწარმოს საქმიანი აქტივობა ხასიათდება რიგი მაჩვენებლებით, როგორცაა: მოგების ზრდის ტემპი, რეალიზაციის ზრდის ტემპი, მზა პროდუქციის და რეალიზაციის ხელსაყრელი კონტრაქტების არსებობა, კვალიფიციური პერსონალის არსებობა და სხვა. გავრცელებული მოსაზრებების თანახმად:

1. მოგების ზრდის ტემპი უნდა უსწრებდეს რეალიზაციიდან ამონაგების ზრდის ტემპს, რაც საწარმოს რენტაბელობის ზრდაზე მიუთითებს;
2. რეალიზაციიდან ამონაგების ზრდის ტემპი უნდა უსწრდებდეს აქტივების ზრდის ტემპს, რაც აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებს.
3. ყველა ზრდის ტემპი 100-% მეტი უნდა იყოს.

საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ზოგადი და კერძო მაჩვენებლები:

- ფონდუკუგების კოეფიციენტი;
- საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
- მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
- დებიტორული დავალიანებების ამოღების კოეფიციენტი;

- კრედიტორული დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი;
- საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობის კოეფიციენტი;
- რესურსების უკუგების კოეფიციენტი;
- ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი.

ბრუნვადობის კოეფიციენტების ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის, რადგან საშუალებათა ბრუნვის სისწრაფე, ე.ი მათი ფულად ფორმად გადაქცევა უშუალო გავლენას ახდენს გადახდისუნარიანობაზე. ამავდროულად საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარება აისახება საწარმოს პოტენციალის ამაღლებაზე, რაც მთელი წარმოების ეფექტიანობის ზრდას იწვევს.

საბრუნავი საშუალებებით საწარმოს უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად განაპირობებს საწარმოო ციკლის შეუფერხებელ განხორციელებას, ხოლო მათი ნაკლებობა საწარმოო ციკლის შეწყვეტას. საბოლოო ჯამში კი აისახება გადასახადებისა და ვალდებულებათა დაფარვის შეფერხებაში და აქედან გამომდინარე ფინანსური მდგომარეობა გაუარესდება.

**ცხრილი 2.2.1 საქმიანი აქტივობის ზოგადი მაჩვენებლები**

საწარმო	ზედაზენი 2012		სს ლომისი	
	2017	2018	2017	2018
ბრუნვის რიცხვი	2.74	2.53	7.95	8.83
ბრუნვის პერიოდი დღეებში	133.20	144.26	45.95	43.33
დამაგების კოეფიციენტი	0.36	0.40	0.12	0.12

ავანსირებული  
ღირებულება 2018  
წელს „მპს-ზედაზენში“  
2.53-ჯერ შემობრუნდა,  
რაც ნაკლებია წინა

წელთან შედარებით, ხოლო ერთ შემობრუნებას სჭირდება დაახლოებით 145 დღე. ეს იმას ნიშნავს, რომ 145 დღეში კომპანია იღებს თავისი მიმდინარე აქტივების ღირებულების ტოლ შემოსავალს.

ბრუნვის პერიოდის გაზრდა დღეებში არ არის დადებითი მოვლენა, რადგან ორგანიზაციაში ფულის შემოსვლა ნელდება და შესაბამისად საჭირო ხდება დამატებითი სახსრების მოძიება გარე წყაროებიდან იმისათვის რომ ორგანიზაციამ იფუნქციონიროს. შპს „ზედაზენი 2012“-ის შემთხვევაში საჭიროა 11 დამატებითი დღის ხარჯის გაწევა.

სს „ლომისში“ ავანსირებული ღირებულება 2017დან 2018 წლამდე გაზრდილია, სააქციო საზოგადოებამ 2018 წლის განმავლობაში ამოიღო აქტივების 8.83 ჯერ მეტი. ერთ შემობრუნებას სჭირდება 43.33 დღე, რაც წინა პერიოდთან შედარებით ნაკლებია, ამ შემთხვევაში გამოთავისუფლებული სახსრები გააჩნია ორგანიზაცია და შეუძლია ვალდებულებების დასაფარად გამოიყენოს, ახალი აქტივების შესაძენად. საანგარიშგებო წლის განმავლობაში შემოსავლის ყოველ ერთ ლარზე მოდიოდა საბრუნავი აქტივების 0.12 ლარი, რომელიც წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა.

**ცხრილი 2.2.2 ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები**

	ზედაზენი 2012		სს ლომისი	
	2017	2018	2017	2018
მაჩვენებლები				
მარაგების ბრუნვადობის პერიოდი დღეებში	154	71	44.87	41.7
დებიტორული დავალიანების ანაზღაურების პერიოდი	41.34	4.5	38	40
კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი	70.4	53.74	39.32	37.05


მარაგების ბრუნვადობა დღეებში მიუთითებს მარაგის შენახვის პერიოდის ხანგძლივობაზე. სასაქონლო-მატერიალური მარაგების შენახვა

გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამ მიმართულებით ორივე საანალიზო საწარმოს კარგი მაჩვენებელი გააჩნია, რადგან 2017 დან 2018 წლამდე მცირდება დღეების რაოდენობა.


დებიტორული დავალიანების ანაზღაურების პერიოდი, მიუთითებს იმაზე თუ როგორი ხანგძლივობით ხასიათდება კრედიტით გაყიდვები. გაყიდვის დროს საწარმოები მიუთითებენ კრედიტის პერიოდს. შპს „ზედაზენი 2012“-ში დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი შემცირდა, შესაბამისად ნაღდი ფულის მოძრაობის პრობლემა არ გააჩნია, რასაც ვერ ვიტყვის სს“ლომისზე“ , აქ საპირისპირო სიტუაციაა.

კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი ორივე საანალიზო საწარმოში შემცირებულია, შესაბამისად არ უჭირდთ ვალდებულებების დაფარვა.

**დიაგრამა 2.2.1 დებიტორული დავალიანების ანაზღაურების პერიოდი საანალიზო საწარმოებში**



**დიაგრამა 2.2.2 კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი საანალიზო საწარმოებში**



### 2.3. საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის შედარებითი დახასიათება



ცხრილი 2.3.1 სს „ლომისის“ და შპს „ზედაზენი 2012“-ის საქმიანი აქტივობისა და საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებელთა ანალიზი

საწარმო	შპს ზედაზენი 2012			სს ლომისი		
	2017	2018	გადახრა	2017	2018	გადახრა
საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის კოეფიციენტი	6.71	8.01	1.30	1.75	1.46	-0.29
მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი	153.97	70.88	-83.09	4.72	5.78	1.06
დებიტ დავალიანების ბრუნვადობის კოეფ	8.82	10.90	2.08	9.56	8.99	-0.58
დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი დღეებში	41.34	4.50	-36.84	38	40	2
კრედიტორული დავალიანების პერიოდი	70.40	53.74	-16.36	38.32	37.05	2.27

საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის კოეფიციენტი შპს „ზედაზენი 2012“-ში 2017-დან 2018 წლამდე პერიოდში 1.30-ით გაიზარდა, რაც მის დაჩქარებაზე მეტყველებს. ბრუნვადობის დაჩქარება გამოწვეულია რეალიზაციის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდით ამ პერიოდში.

მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი შემცირდა 2018 წლის განმავლობაში 83.09-ით და 70.88 შეადგინა, ე.ი მარაგის განახლების რიცხვი შემცირდა, რაც დადებით მოვლენად ვერ ჩაითვლება.

სს „ლომისში“ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის კოეფიციენტი შემცირებულია 0.29-ით, რაც მის შენელებაზე მიუთითებს. მარაგების ბრუნვადობის

კოეფიციენტი გაიზარდა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით, ანუ გაზრდილია მარაგების განახლების კოეფიციენტი.

დებიტორული დავალიანების ფაქტორული ანალიზისათვის გამოიყენება ჯაჭვური ჩასმის ხერხი და კოერელაციური ანალიზის მეთოდი.

**ცხრილი 2.3.2 შპს „ზედაზენი 2012“ დებიტორული დავალიანებების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა (ათასობით ქართულ ლარში)**

მაჩვენებლები	2017	2018	გადახრა
კრედიტით გაყიდვები (შემოსავალი)	42741340	45334000	+2592660
დებიტ.დავალიანების ნაშთი	4841252	4162467	-678785
დებით.დავ.ინკასაციის რიცხვი	8.82	10.9	2.08

I.  $42741340/8.82 = 4845956$

II.  $45334000/8.82 = 5139909$

კრედიტით გაყიდვების ცვლილების გავლენა = 293953

III.  $45334000/10.9 = 4159083$

დებიტორული დავალიანების ინკასაციის რიცხვის ცვლილების გავლენა:

$= 4159083-5139909 = -980826$

ვინაიდან კრედიტით გაყიდვები გაიზარდა 2592660 ლარით, დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი ნაშთი გაიზარდა 293953 ლარით, 2.08 -ჯერ დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის ზრდამ კი დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი ნაშთები 980826 ლარით შეამცირა, რაც დადებითი მოვლენაა შპს „ზედაზენი 2012“-ისთვის.

**ცხრილი 2.3.3 სს „ლომისის“ დებიტორული დავალიანებების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა (ათასობით ქართულ ლარში)**

მაჩვენებლები	2017	2018	გადახრა
კრედიტით გაყიდვები (შემოსავალი)	103328	103058	-270
დებიტ.დავალიანების ნაშთი	11466	10799	-667
დებით.დავ.ინკასაციის რიცხვი	9.56	8.99	-0.57

ვინაიდან კრედიტით გაყიდვები შემცირდა 270 ლარით, დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი ნაშთი შემცირდა 28 ლარით, 0.57 ჯერ დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის შემცირებამ კი დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი ნაშთები 683 ლარით გაზარდა, რაც არ არის დადებითი მოვლენა.

რაც შეეხება კრედიტორულ დავალიანებაზე მოქმედ ფაქტორებს :

**ცხრილი 2.3.4 შპს „ზედაზენი 2012“ (ქართულ ლარში)**

მაჩვენებლები	2017	2018	გადახრა
კრედიტით შესყიდვები	38313912	39859739	1545827
კრედიტ.დავალ საშ ნაშთი	5895773	7458207	1562434
კრედიტ.დავ.დაფარვის რიცხვი	5.2	6.8	1.60

ჩატარებული გამოთვლების თანახმად, შპს „ზედაზენი 2012“ წელიწადში თითქმის 6.8-ჯერ ფარავს მომწოდებელთა რაოდენობას, რაც წინა პერიოდთან შედარებით დადებითი მაჩვენებელია.

მიმდინარე წელს კრედიტორული დავალიანების ნაშთი გაიზარდა 1562434 ლარით, მათ შორის კრედიტით შესყიდვების გაზრდამ იგი 298154 ით გაზარდა,

დაფარვის რიცხვა კი შეამცირა 1819351 ით. მეორე ფაქტორის გავლენა დადებითია, რადგან გაზრდილია მომწოდებელთა დავალიანებების დაფარვის დაჩქარება.

**ცხრილი 2.3.5 სს „ლომისი“ -ის კრედიტორულ დავალიანებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა**

მაჩვენებლები	2017	2018	გადახრა
კრედიტით შესყიდვები	103719	100815	-2243
კრედიტ.დავალ საშ ნაშთი	132319	75216.50	-57102.50
კრედიტ.დავ.დაფარვის რიცხვი	9.6	9.2	-0.4

როგორც ჩხრილიდან ჩანს, მიმდინარე წელს კრედიტორული დავალიანების ნაშთი შემცირდა 57102.50 ლარით, მათ შორის კრედიტით შესყიდვების შემცირებამ იგი 302.50 ლარით შეამცირა, დაფარვის რიცხვის შემცირებამ კი 456 ლარით გაზარდა. მეორე ფაქტორის გავლენა არასაურველია, ამიტომ უნდა გატარდეს მომწოდებელთა დავალიანებების დაფარვის დაჩქარების ღონისძიებები.

ბიზნესის ნებისმიერ სფეროში შედეგები დამოკიდებულია ფინანსური რესურსების არსებობასა და მათი გამოყენების ეფექტურობაზე. იმისათვის რომ ორგანიზაციამ შეუფერხებლად იფუნქციონიროს ყოველდღიურად მას სჭირდება ფულადი სახსრები, რომელიც განკუთვნილია შესყიდვებისთვის, ვალდებულებების დასაფარად, სახელმწიფოსთვის გადასახადების გადასახდელად.

**ცხრილი 2.3.6 შპს „ზედაზენი 2012“-ის ბრუნვადობის ცვლილების გავლენა  
საწარმოს სახსრების მოთხოვნაზე**

მაჩვენებლები	2017	2018	გადახრა
ავანსირებული ღირებულების ბრუნვის პერიოდი (დღ)	133.2	144.26	+11.06
დღიური ხარჯი (ლარი)	1479	2070	+591
დამატებით ბრუნვაში მოზიდული სახსრები (ლარი)	-	22895	

ავანსირებული ღირებულების ბრუნვის პერიოდის ზრდა არ არის დადებითი მოვლენა, რადგან შენედა ორგანიზაციაში ფულის შემოსვლის პერიოდი. დამატებით 11 დღე მოუწევს ორგანიზაციას გარე წყაროებიდან თანხის მოძიება, იმისათვის რომ დაფაროს ყოველდღიური ხარჯი. ბრუნვაში დამატებითი მოზიდული სახსრები არის 22895

**ცხრილი 2.3.7 სს „ლომისის“ ბრუნვადობის ცვლილების გავლენა საწარმოს  
სახსრების მოთხოვნაზე**

მაჩვენებლები	2017	2018	გადახრა
ავანსირებული ღირებულების ბრუნვის პერიოდი	45.95	43.33	-2.62
დღიური ხარჯი	111	116	+5
ბრუნვაში გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები	-	303.93	

ავანსირებული ღირებულების პერიოდის შემცირება დადებითი მოვლენაა, რადგან დაჩქარდა ფულადი სახსრების შემოსვლა ორგანიზაციაში. შესაბამისად

გამოთავისუფლდა დაახლოებით 3 დღე და შეუძლია განკარგოს მიღებული თანხები სურვილისამებრ.

## დასკვნა

ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომში „საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის პრობლემური საკითხები შპს „ზედაზენი 2012“-ისა და სს „ლომისის“ მაგალითზე“ განხილულია საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის საკითხები. ცნობილია, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობით დაინტერესებული არიან როგორც შიდა ასევე გარე მომხმარებლები. მათთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს რამდენად სტაბილურია საწარმო საქმიანი აქტივობის მიმართულებით, ფარავს თუ არა დავალიანებებს, იღებს თუ არა სასურველ შემოსავალს. აღნიშნული საკითხების ანალიზი ეხმარება დაინტერესებულ პირებს ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებაში, ურთიერთობა გააგრძელოს და განახორციელოს თუ არა ინვესტიცია მოცემულ საწარმოში. თემის აქტუალობას სწორედ ამ საკითხების ანალიზი განაპირობებს.

სამაგისტრო კვლევაში შესწავლილ იქნა საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობა და გადახდისუნარიანობის ხარისხი.

შრომა შესრულებლია სს „ლომისის“ და შპს „ზედაზენი 2012“-ის მაგალითზე. ორივე მათგანი აწარმოებს უალკოჰოლო და ალკოჰოლის შემცველ პროდუქტებს.

ჩატარებული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა :

2018 წლის ბოლოს ორივე საანალიზო საწარმოში მთლიანი აქტივები შემცირებულია წინა წელთან შედარებით, შპს „ზედაზენი 2012“-ში შემცირდა -369231, ხოლო სს „ლომისში“-4997.

სს „ლომისის“ და შპს „ზედაზენი 2012“-ის შემთხვევაში მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი ჩამორჩება გრძელვადიანი აქტივების და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპს, რაც უარყოფითი მოვლენაა.

ორივე საანალიზო საწარმოში არ არსებობს დაუფარავი ზარალი საანალიზო პერიოდებისთვის.

სს „ლომისში“ გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები : ბივერის კრიტიკული კოეფიციენტი 2016-2017-2018 წლებში არ არის დამაკმაყოფილებელი, რადან ვერ აღწევს 0,7 დან 0,8 მდე. ბივერის შესწორებული კოეფიციენტი არამყარი ზრდით ხასიათდება 2017 დან 2018 წლამდე 5-ჯერ გაიზარდა.აბსოლუტური და საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი არ არის სასურველი ორგანიზაციისთვის.

სს „ლომისში“ ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლების განხილვისას შემდეგი სურათი გამოჩნდა, ბრუნვის რიცხვი გაიზარდა 2018 წელს წინა წელთან შედარებით რაც დადებითი მოვლენაა, ბრუნვის პერიოდი დღეებში შემირდა,ხოლო დამაგრების კოეფიციენტი არ შეცვლილა.

სს „ლომისში“ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის კოეფიციენტი შემცირებულია 0.29-ით,რაც მის შენელებაზე მიუთითებს.მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი გაიზარდა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით, ანუ გაზრდილია მარაგების განახლების კოეფიციენტი.

სს „ლომისში“ კრედიტით გაყიდვები შემცირდა 270 ლარით, დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი ნაშთი შემცირდა 28 ლარით, 0.57 ჯერ დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის შემცირებამ კი დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი ნაშთები 683 ლარით გაზარდა,რაც არ არის დადებითი მოვლენა.

სს „ლომისში“ მიმდინარე წელს კრედიტორული დავალიანების ნაშთი შემცირდა 57102.50 ლარით, მათ შორის კრედიტით შესყიდვების შემცირებამ იგი 302.50 ლარით შეამცირა, დაფარვის რიცხვის შემცირებამ კი 456 ლარით გაზარდა.მეორე ფაქტორის გავლენა არასაურველია, ამიტომ უნდა გატარდეს მომწოდებელთა დავალიანებების დაფარვის დაჩქარების ღონისძიებები.

სს „ლომისში“ ავანსირებული ღირებულების პერიოდის ცვლილების შედეგად ბრუნვაში გამოთავისუფლდა ფულადი სახსრები, დამატებითი 3 დღისთვის და შეადგინა 303.93.

შპს „ზედაზენი 2012“-ში ბრუნვის რიცხვი შემცირებულია რაც არ არის დადებითი მოვლენა, პერიოდი დღეებში და დამაგრების კოეფიციენტი გაზრდილია.ავანსირებული



ღირებულების ზოგადი შეფასებით დასტურდება რომ სტაბილური მდგომარეობა არ გააჩნია.

საბრუნავ საშუალებათა ბრუნვალობის კოეფიციენტი შპს „ზედაზენი 2012“-ში 2017-დან 2018 წლამდე პერიოდში 1.30-ით გაიზარდა, რაც მის დაჩქარებაზე მეტყველებს. ბრუნვალობის დაჩქარება გამოწვეულია რეალიზაციის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდით ამ პერიოდში.

მარაგების ბრუნვალობის კოეფიციენტი შემცირდა 2018 წლის განმავლობაში 83.09-ით და 70.88 შეადგინა, ე.ი მარაგის განახლების რიცხვი შემცირდა, რაც დადებით მოვლენად ვერ ჩაითვლება.

კრედიტით გაყიდვები გაიზარდა 2592660 ლარით, დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი ნაშთი გაიზარდა 293953 ლარით, 2.08 -ჯერ დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის ზრდამ კი დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი ნაშთები 980826 ლარით შეამცირა, რაც დადებითი მოვლენაა შპს „ზედაზენი 2012“-ისთვის.

შპს „ზედაზენი 2012“ წელიწადში თითქმის 6.8-ჯერ ფარავს მომწოდებელთა რაოდენობას, რაც წინა პერიოდთან შედარებით დადებითი მაჩვენებელია. მიმდინარე წელს კრედიტორული დავალიანების ნაშთი გაიზარდა 1562434 ლარით, მათ შორის კრედიტით შესყიდვების გაზრდამ იგი 298154 ით გაზარდა, დაფარვის რიცხვმა კი შეამცირა 1819351 ით. მეორე ფაქტორის გავლენა დადებითია, რადგან გაზრდილია მომწოდებელთა დავალიანებების დაფარვის დაჩქარება.

ავანსირებული ღირებულების ბურნვის პერიოდის ზრდა არ არის დადებითი მოვლენა, რადგან შენელდა ორგანიზაციაში ფულის შემოსვლის პერიოდი. დამატებით 11 დღე მოუწევს ორგანიზაციას გარე წყაროებიდან თანხის მოძიება, იმისათვის რომ დაფაროს ყოველდღიური ხარჯი. ბრუნვაში დამატებითი მოზიდული სახსრები არის 22895.

საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის შემდგომი ამაღლების მიზნით მართებულად მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი რეკომენდაციები:

- საანალიზო საწარმოებმა მოიძიონ გადახდისუნარიანი მომხმარებლები, რომელთაგანაც სწრაფად შეძლებს ფულადი საშუალებების მიღებას,
- დებიტორული დავალიანებებიდან მისაღები თანხების ტემპის დაჩქარება სათანადო მეთოდების გამოყენებით (ფაქტორინგი ან სასამართლო პროცედურები),
- შესაძლოა საჭირო აღმოჩნდეს კადრების გადამზადება შრომითი ეფექტის ამაღლების მიზნით.

ვფიქრობ, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება დადებით შედეგს მოუტანს საანალიზო საწარმოებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასს2 -სასაქონლო მატერიალური ფასეულობები,2019.
2. ბასს2 -სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, 2019.
3. ბასს 16- ძირითადი საშუალებები ,2019.
4. ბასს 38 არამატერიალური აქტივები.
5. ბურდული ფ., ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის საქტუალური საკითხები.თბილისი 2000.
6. ინგოროყვა ა., ცაავა გ.ფინანსური მენეჯმენტი .თბილისი 2011.
7. კოვზანაძე.ი.“ ლიკვიდურობის ცნების გასაზღვრისთვის“, თბილისი 2011.
8. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ. ფინანსური ანგარიშება .გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011.
9. ჩეჩელაშვილი ა. სადისერტაციო ნაშრომი „ფინანსური მდგომრეობის ანალიზი და მისი სრულყოფების გზე“. გამომცემლობა „მერიდიანი“,თვილისი ,2014.
10. ჭილაძე ი., გოგრიჭიანი ზ., „ეკონომიკური ანალიზი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011.
11. ჭილაძე ი., ფინანსური ანალიზი.გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018.
12. ხორავა.ა, კვატაშიძე ნ., სრესელი.ნ, გოგრიჭიანი.ზ, ფინანსური აღრიცხვა , თბილისი 2011.
13. ჯიქია მერაბ .ფინანსური ანალიზი.გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018.
14. ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ., ეკონომიკური ანალიზი ,თბილისი ,გამომცემლობა „მერიდიანი“,2011.
15. F7 -ფინანსური ანგარიშგება , ACCA ,თბილისი ,ბაფ ,2019.
16. F3-ფინანსური ანგარიშგება ,ACCA ,თბილისი ,ბაფ ,2019.
17. შპს „ზედაზენი-2012“-ს ფინანსური ანგარიშგება
18. სს „ლომისი“-ს ფინანსური ანგარიშგება
19. Altman E.I., Bankruptcy, Credit Risk, and High Yield Junk Bonds. Wiley-Blackwell. 1 edition, 576 p, 2002.
20. Steven M. Bragg – Fiancial analyzis. Published by John Wiley & Sons Inc.2007;
21. James Bondler-How to use Financial statements.1994
22. Martin Fridson and Fernando Alvarez – Financial statement analyzis,third edition. Published by John Wiley & Sons Inc.2002
23. Mark Bradshaw ,Yonca Ertimur . Financial Analysts and ThEIR Contribution to Well-Funcioning Capital Markets (Foundations and Trend® in accaountin)Paperback.2018

24. Puddingpie Notebooks .Busy Doing Financial Analyst Stuff.2018
25. Omni Planners .Financial Analys Planner 2020.
26. Thomas R.Robinson ,Elaine Henry .International financial statement Analysis Workbook.
27. Reportal.ge
28. Saras.gov.ge

## დანართი

შპს "ზედაზენი 2012"

სრული შემოსავლის ანგარიშგება  
(ქართულ ლარში)

	2018	2017	2016
ამონაგები	45334000	42741340	33643004
რეალიზებული პრ. თვითღირებულება	-	-	-
საერთო მოგება	39549651	38168508	29371993
გაციდვის და მიწოდების ხარჯები	-5912290	-4754335	-3764669
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	-755496	-539709	-401956
სხვა შემოსავალი /(ხარჯი) ,ნეტო	-807523	-460338	-314136
საოპერაციო ზარალი	-1690960	-1181550	-209750
მოგების გადასახადის სარგებ/(ხარჯი)	-	-	-73737
ფინანსური ხარჯი	-111205	-	-
წლის სრული ზარალი	-1802165	-1181550	-283487

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2018	2017	2016
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	1291508	797744	165901
არამატერიალური აქტივები	24188	24188	19495
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	-	-
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>1315696</b>	<b>821932</b>	<b>185396</b>

**მოკლევადიანი აქტივები**

მარაგები	557985	247897	102493
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4162467	4841252	2559538
საგადასახადო აქტივი	15141	126414	131808
ფული და ფულის ეკვივალენტები	213839	596864	145439
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>	<b>4949432</b>	<b>5812427</b>	<b>2939278</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>6265128</b>	<b>6634359</b>	<b>3124674</b>

**კაპიტალი და ვალდებულებები**

<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	109795	109795	109795

დაგროვილი ზარალი	-	-	-
	3519690	1716826	-535276
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>3409895</b>	<b>1607031</b>	<b>-425481</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6675023	8241390	3550155
მიღებული სესხები	3000000	-	-
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>	<b>9675023</b>	<b>8241390</b>	<b>3550155</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>6265128</b>	<b>6634359</b>	<b>3124674</b>

სს "ლომისი"

სრული შემოსავლის ანგარიშგება  
(ქართულ ლარში)

	2018	2017
<b>შემოსავალი</b>	<b>103058</b>	<b>103328</b>
რეალიზებული პრ.თვითღირ	-61630	-60918
<b>მთლიანი მოგება</b>	<b>41428</b>	<b>42410</b>
გაყიდვების და მარჯეტიუნგის ხარჯი	-21047	-22784
ზოგადი და ამნისტ ხარჯები	-10991	-11196
სხვა საოპერაციო შემოსავ და ხარჯი	365	-846
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>9755</b>	<b>7584</b>
ფინანსური შემოსავალი	1210	5192
ფინანსური ხარჯები	-10326	-5614
<b>მოგება მოგების გადასახადამდე</b>	<b>639</b>	<b>7162</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
<b>წლის მოგება</b>	<b>639</b>	<b>7162</b>
სხვა სრული შემოსავალი	-	-
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>	<b>639</b>	<b>7162</b>

აქტივები	2018	2017
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>		
ძირითადი საშუალებები	55973	63008
არამატერიალური აქტივები	471	570
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10	22
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>56454</b>	<b>63600</b>
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>		
მარაგები	10653	12896
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10799	11466
ფული და ფულის ეკვივალენტები	20300	15241
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>	<b>41752</b>	<b>39603</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>98206</b>	<b>103203</b>
<b>კაპიტალი</b>		
სააქციო კაპიტალი	20	20
საემისიო კაპიტალი	5441	5441
გაუნაწილებელი მოგება	-27763	-28967
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>22302</b>	<b>23506</b>
<b>ვალდებულებები</b>		
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
აღებული სესხები	96784	-
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>96784</b>	<b>-</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>		
აღებული სესხები	12310	114480
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10461	11131
საგადახადო ვალდებულებები	953	1098
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>23724</b>	<b>126709</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>120508</b>	<b>126709</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>98206</b>	<b>103203</b>